ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1686476

ნომერი: AR1273205

თარიღი : 15.12.2014

გაცემის თარიღი : 15.01.2015

გაცნობის თარიღი : 16.01.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოროდინოს , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, ბოროდინოს ქ. N20–ში ღობის, დაცვის შენობისა და ღია ავტოსადგომის მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის საკითხი

გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხი განმეორებით უნდა იქნეს წარმოდგენილი: "არსებული ნაგებობის დემონტაჟისათვის წარმოსადგენია სათანადო დოკუმენტაცია. ავტოსადგომების განთავსება აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაშვებია" (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 14.01.2015 წლის Nდ/13/12/03 წერილი).

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ნ. ფარცხალაძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

უარი ეთქვას მოქ. ნ. ფარცხალაძეს ქ. თბილისში, ბოროდინოს ქ. N20–ში ღობის, დაცვის შენობისა და ღია ავტოსადგომის მოწყობაზე წერილობითი თანხმობის გაცემის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.